

მომწონს 75 ათასი

ხუთშაბათი 25 აპრილი 2013, 12:11:29

- [ჩვენ შესახებ](#)
- [რეკლამა](#)
- [კონტაქტი](#)

[Русская версия](#)



სამიგებელი სიტყვა ან ფრ



- [ინტერვიუ](#)
- [ვიდეო](#)
- [გამოკითხვა](#)
- [პერსონები](#)
- [ორგანიზაციები](#)
- [რევიუ](#)
- [პოლიტიკა](#)
- [სოციალური მედია](#)
- [ბიზნესი](#)
- [მსოფლიო](#)
- [შემთხვევა](#)
- [სამართალი](#)
- [საზოგადოება](#)
- [ხელოვნება](#)
- [შოუბიზნესი](#)
- [სახალისო](#)
- [რელიგია](#)
-

არასამთავრობოები კალაძეს საყვედურობენ

- 24 აპრილი 11:16
- 903
- [რეკომენდებული](#) 24

15 არასამთავრობო ორგანიზაცია ენერგეტიკის მინისტრის [კახა კალაძის](#) მიერ გაკეთებულ განცხადებას არაკორექტულს უწოდებს. საქმე ეხება მინისტრის მიერ 22 აპრლის, ტელეკომპანია "მეცხრე არხზე" გაკეთებულ განცხადებას.

"ჩვენი ყურადღება მიიპყრო ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის [კახა კალაძის](#) უკიდურესად არაკორექტულმა განცხადებამ იმ არასამთავრობო ორგანიზაციების მიმართ, რომლებიც კრიტიკულ შენიშვნებს გამოთქვამენ ხელონჰესის მშენებლობასთან დაკავშირებით. კერძოდ, ხსენებულ სიუჟეტში ბატონმა კალაძემ ბრძანა: „ჩვენი ქვეყნის ბედს ვერ გადავყოლებთ რომელიმე არასამთავრობო ორგანიზაციას და მათ მიერ რაღაც შეჩერებული პროექტების გამო აღებულ დაფინანსებას, რომელსაც ისინი იღებენ უცხოეთიდან."

პოლიტიკის ფორმულირებისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში სამოქალაქო სექტორის როლის შესახებ ამგვარი მცდარი წარმოდგენა შემამფოთებელია, განსაკუთრებით ისეთი მაღალი თანამდებობის პირისგან, როგორც ბატონი კალაძე, რომელსაც საქართველოს მთავრობაში პირველი ვიცე-პრემიერის პოსტიც უკავია. ხელისუფლებისა და სამოქალაქო სექტორის, ან მისი ერთი ნაწილის, მოსაზრებები ხშირად არ ემთხვევა ერთმანეთს და ეს დემოკრატიული მმართველობისთვის დამახასიათებელი ბუნებრივი პროცესია. ამდენად, კატეგორიულად მიუღებელია არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ გამოთქმულ კრიტიკული შენიშვნების საპასუხოდ ამგვარი დაუსაბუთებელი ბრალდებისა და სხვადასხვა შეთქმულების თეორიის მომველიება. დასაწინააღმდეგებია, თუ საქართველოს ხელისუფლება სამოქალაქო სექტორთან ურთიერთობას ასეთი რიტორიკით აპირებს.

არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ გამოთქმული შენიშვნების დაკავშირება გაურკვეველ ფინანსურ ინტერესებთან მით უფრო უცნაურია ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მხრიდან, რომლის ხელმძღვანელ პირებს ბოლო დრომდე თავად

ჰქონდათ კერძო კომერციული ინტერესები ენერჯეტიკის სექტორში. საზოგადოებას დღემდე არ მიუღია ცალსახა პასუხი, დათმეს თუ არა მათ რეალურად ეს ინტერესები", - აღნიშნულია განცხადებაში, რომელსაც ხელს 15 არასამთავრობო აწერს, მათ შორის, "მწვანე ალტერნატივა", "საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია", „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“, "ადამიანის უფლებათა ცენტრი", ფონდი „ღია საზოგადოება - საქართველო“, ფრიდრიხ ებერტის ფონდის წარმომადგენლობა საქართველოში, სვანეთის ტურიზმის ცენტრი, გურამ თიკანაძის სახელობის სვანეთის ახალგაზრდული ცენტრი, გაზეთი "სამხრეთის კარიბჭე", საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ასოციაცია, ქუთაისის საინფორმაციო ცენტრი, სტეფანწმიდა, პედაგოგთა კავშირი „განათლება და სამყარო“, „კონსტიტუციის 42-ე მუხლი“, კოალიცია „საზოგადოებრივი დამცველი“.

ტეგები

- [არასამთავრობო ორგანიზაციები](#)
- [კახა კალაძე](#)
- [ხუდონჰესი](#)

Vkontakte Odnoklassniki LiveJournal Tumblr



[ინგა ბაჯელიძე](#)

3819 სტატია

სახელი:

ელ-ფოსტა:

ტელეფონი:

კომენტარი

CAPTCHA TEXT

გამოაქვეყნე Facebook-ზე გამოაქვეყნე როგორც Na Nu (შენ არ ხარ?)



Irma Petriashvili · Instytut Studiów Politycznych PAN
 ბატონო კახა! ვერც თქვენს ბიზნეს ინტერესებს გადავყოლებ საქართველოს. ყველა როგორ ცდილობთ საქართველოთი იეჭროთ. საფლავები დარჩა გასაყიდი და მიდით გაყიდეთ!
 პასუხი · 1 · მომწონს · გამოწერა · 23 საათის წინ



David Zhvania · გამოწერა · 306 subscribers
 არასამთავრობოები კალაძეს საყვედურობენ
 პასუხი · მომწონს · გამოწერა · 23 საათის წინ

Facebook-ის სოციალური ჩანართი

<p>ლოტო 6/36 დარეგისტრირდით ebetting.ge-ზე და ითამაშეთ ლოტო ინტერნეტით! http://ebetting.ge</p>	<p>შეცვალე ზეთი, საჩუქრად მიიღე ფილტრი დამატებითი საჩუქრები 30% მდე ფასდაკლება პროდუქციაზე და ავტოსერვისზე. ტელ: 2 308-308</p>	<p>გაყიდე ინტერნეტით! შექმენით ინტერნეტ მაღაზია მხოლოდ 150 ლარად! იჩქარეთ! shopbuilder.adspay.ge</p>
-------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------	--------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------	-----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------

სხვა სიახლეები

[გიორგი ახვლედიანი 7 ნოემბერს "იმედში" განვითარებული მოვლენების გამოძიებას ითხოვს](#)

[25 აპრილი 11:31](#)

[ჩაფიძე: უცხოელები აღფრთოვანებულები არიან საქართველოს პრემიერით](#)

[25 აპრილი 09:44](#)

[მიხეილ სააკაშვილი ჯორჯ ბუშსა და ანდერს ფოგ რასმუსენს შეხვდა](#)

[25 აპრილი 09:34](#)

[უმრავლესობა "საერთო სასამართლოების შესახებ" კანონზე პრეზიდენტის შენიშვნებს არ](#)